საქართველოს
პარლამენტი

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის გამ. 26

№ 19070

02 09 2013 წელი

საქართველოს პარლამენტის აპარატის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის მიერ 2012 წლის საშემოდგომო და 2013 წლის საგაზაფხულო სესიების პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

დანართი 8 (რვა) ფურცელი

პატივისცემით,

გუბაზ სანიკიძე

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის
მიერ 2012 წლის საშემოდგომო და 2013 წლის
საგაზაფხულო სესიების პერიოდში განეული საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის მუშაობა, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, მიმდინარეობდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან, დიასპორულ ორგანიზაციებთან, უცხოეთში მოქმედ ქართველოლოგიურ ცენტრებთან, კავკასიელ ხალხებთან და მათ დიასპორებთან ურთიერთობის პოლიტიკის განსაზღვრის, რეგიონალური უსაფრთხოების, კულტურულ–საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა, კომპეტენციის ფარგლებში, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, მიღებული გადაწყვეტილებებისა და საკანონმდებლო აქტების აღსრულებაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, ჩაატარა 18 სხდომა, მათ შორის, 2012 წლის 22 ოქტომბერს გაიმართა კომიტეტის პირველი საორგანიზაციო სხდომა, რომელზეც შემუშავებული და პარლამენტის ბიუროსათვის დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა კომიტეტის დებულება, ასევე არჩეულ იქნენ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები.

საყურადღებოა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებული მოსმენები:

- საქართველოს მთავრობისა და სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების საკითხი;

- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის მოსმენა, მისი პრიორიტეტული მიმართულებებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე წინადადებების შემუშავება.

- დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის მიერ მე-7 მოწვევის პარლამენტში გაწეული საქმიანობის ანალიზის საფუძველზე სამომავლო გეგმებისა და მიმართულებების შემუშავება.

- ქართულ–აზერბაიჯანული ურთიერთობები, სამომავლო გეგმები, პრიორიტეტები და არსებული პრობლემების გადაჭრის მექანიზმების შემუშავება.

(საკითხთან დაკავშირებით, მოისმინილ იქნა დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის წევრის, მახირ დარზიევის ინფორმაცია. იგი ვიზიტით იმყოფებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, სადაც შეხვედრები გამართა, ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან, აზერბაიჯანში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან და აზერბაიჯანის მოქალაქე ეთნიკურ ქართველებთან (ისტორიული საინგილო-ჰერეთი). სხდომაზე დეპუტატებმა განიხილეს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრები აზერბაიჯანელი და ქართველი ეროვნების საქართველოს მოქალაქეებისა და ქართული ისტორიული დიასპორის პრობლემები. ასევე ისაუბრეს ორი ქვეყნის სტრატეგიული თანამშრომლობის პრიორიტეტებზე. ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი არალეგალურად იმყოფება აზერბაიჯანში. მათ ემუქრებათ დეპორტაციის საფრთხე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საუბარი შედგა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიგრაციის სამსახურის უფროსთან და გარკვეული შეღავათები დაწესდა საქართველოს მოქალაქეებისათვის. მიღწეულ იქნა ზეპირი შეთანხმება, რომ აღნიშნული კატეგორიის პირები გათავისუფლდებოდნენ ჯარიმებისგან და განესაზღვრებოდათ გარკვეული ვადა საბუთების მოსაწესრიგებლად. ასევე შეხვედრები გაიმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს წარმომადგენლებთან, კახის კულტურის სახლის ფუნქციონირების საკითხებზე).

მიმდინარეობს მუშაობა ინიციატივაზე - გაიხსნას ქართული კულტურის ცენტრი ბაქოში, ანალოგიურად, აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი თბილისში.

კომიტეტის სხდომის გადაწყვეტილებით, დაიგეგმა ქართულ-აზერბაიჯანულ საკითხებთან დაკავშირებული კომიტეტის გაფართოებული სხდომის ჩატარება, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, დარგობრივი

სამინისტროების, ექსპერტებისა და მეცნიერების, ასევე საკითხით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით.

- ცალკე საკომიტეტო მოსმენა დაეთმო ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ და ქართულ-რუსულ ურთიერთობებს.

საკითხთან დაკავშირებით, სპეციალური მოხსენება წარმოადგინა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა. კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა აპარატის სამომავლო გეგმები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, კონფლიქტების მოგვარების ახლებური ხედვა და სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ.

სხდომაზე დეპუტატებმა განიხილეს და წარმოადგინეს წინადადებები ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სამომავლო ურთიერთობების თაობაზე, ასევე განხილულ იქნა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებული რიგი პრობლემები.

- საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ლევენთ მურათ ბურჰანის მოსმენა.

კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა თურქეთის ქართულ დიასპორასთან ურთიერთობის პრიორიტეტული მიმართულებები. დაიგეგმა თურქეთის ქართულ დიასპორასთან კულტურული და საგანმანათლებლო კავშირების შემდგომი გაღრმავება.

- საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა;

- კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა მიმდინარე წლის 27 მაისს ქართული დიასპორის დღესთან დაკავშირებით დასაგეგმი ღონისძიებები, ვინაიდან ამ ღონისძიებების ფარგლებში ასახული უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი კულტულური და ბიზნეს პროექტები.

საკითხთან დაკავშირებით, მოსმენილ იქნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ინფორმაცია.

კომიტეტისა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ფართოდ აღინიშნა „27 მაისი – ქართული დიასპორის დღე".

კერძოდ, სამი დღის განმავლობაში გაიმართა, გამოფენები, ფილმების ჩვენება, კონფერენცია, სპექტაკლი, მიღება, კონცერტი და ა.შ. ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იყვნენ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

- ცალკე საკომიტეტო მოსმენა დაეთმო ჟენევის ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებებსა და არსებული ვითარების განხილვას.

(მოსმენილ იქნა დეტალური ინფორმაცია ბოლო ორი რაუნდის დროს გამართული დისკუსიების შესახებ. აღნიშნული მოლაპარაკებების ფარგლებში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება განიხილება იმ ფონზე, როდესაც რუსეთი აღებულ ვალდებულებებს არ ასრულებს).

- კომიტეტის სხდომებზე განხილულ იქნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების კანდიდატურებისათვის თანხმობის მიცემისა და მთავრობის წევრებისათვის, ასევე სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებული საკითხები.

(კერძოდ დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, თანხმობა გამოუცხადა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ლიტვის, თურქეთის აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უნგრეთის, ლატვიის, იტალიის, ავსტრიის, ჩეხეთისა და საფრანგეთის რესპუბლიკებში, აშშ-ში, უკრაინაში, ბელგიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობებზე დასანიშნად წარმოდგენილ კანდიდატურებს. ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ნატოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლებს).

დასკვნის პროექტები მომზადებულ იქნა არაერთ კანონპროექტზე, რომელთა შორის საყურადღებოა:

საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის“ ;

წარმოდგენილ კანონის პროექტთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი შენიშვნები:

1. სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ პრიორიტეტად და პროგრამულ ღონისძიებად გათვალისწინებულ იქნას „საზღვარგარეთ ქართული საკვირაო სკოლებისთვის და მათი არეალის გაფართოებისთვის ხელის შეწყობა;

2. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ღონისძიებების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების გაზრდა.

საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის „საქართველოს საგარეო კურსის უცვლელობის შესახებ"

(კანონპროექტთან დაკავშირებით გამოითქვა არაერთი არსებითი შენიშვნა. მართალია, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი იზიარებს წარმოდგენილ კანონპროექტში ასახულ პრინციპს საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისა და ნატოს წევრობისათვის მომზადების თაობაზე, თუმცა კანონპროექტში ასახული სხვა პრინციპები კომიტეტის წევრებმა არასაკმარისად მომზადებულად მიიჩნიეს და საჭიროდ ჩათვალეს ამ პრინციპების თაობაზე შემდგომი კონსულტაციების გამართვა).

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტში, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა რიგ საკანონმდებლო ინიციატივებსა და პროექტებზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობა და თავმჯდომარის შეხვედრები

- კომიტეტის თავმჯდომარე 2012 წლის 28 ნოემბერს, საქართვლოს პარლამენტში შეხვდა საქართველოში აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს აზერ ჰუსეინს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქვემო ქართლსა და საინგილოს ეწვევიან და იქ არსებულ ვითარებას ერთად განიხილავენ.
- კომიტეტის თავმჯდომარე 2013 წლის 22 მარტს, საქართვლოს პარლამენტში შეხვდა საბერძნეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებს.

(საყურადღებო იყო ქალბატონ ნანა ტოხვაძის მიერ წარმოდგენილი ინიციატივა - ქ. ათენში ქართული სკოლის დაარსების თაობაზე, სადაც მოსწავლეები განათლებას მიიღებენ ორი ქვეყნის საგანმანათლებლო სტანდარტებზე მორგებული პროგრამით).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა კომიტეტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგარეო

საქმეთა სამინისტროსა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაწილეობით.

- ვინაიდან ჩრდილოკავკასიელ ხალხთა სამეცნიერო–კულტურული ურთიერთობების აღდგენის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია არასამთავრობო სექტორის ჩართულობა, 2013 წლის გაზაფხულზე (მარტი-აპრილი) შეხვედრები გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის ფონდთან" და ამ სფეროში მოქმედ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მიმდინარეობს მუშაობა წინადადებაზე - საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩრდილოკავკასიელი სტუდენტებისთვის სპეციალური სასწავლო პროგრამების შემუშავების თაობაზე.

შეხვედრებზე ასევე წარმოდგენილ იქნა წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს საშინაო და საგარეო კურსისა და კავკასიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

2013 წლის 11 აპრილს, კომიტეტმა უმასპინძლა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ახალგაზრდებს.

სტუმრებმა მოისმინეს ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

შეხვედრების ძირითადი ნაწილი კუტურულ ურთიერთობათა ცენტრის „კავკასიური სახლის" ორგანიზებით გაიმართა.

- 2013 წლის 4 აპრილს, კომიტეტმა უმასპინძლა საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ლევენთ მურათ ბურჰანს.

განხილულ იქნა თურქეთის ქართულ დიასპორასთან ურთიერთობის პრიორიტეტული მიმართულებები.

- 2013 წლის 20 მაისს, კომიტეტის თავმჯდომარე შეხვდა მაჰმადიანი მესხების არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია „ვათანის" წევრებს.

- 2013 წლის აპრილში, კომიტეტის თავმჯდომარე შეხვდა NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორს, ლუის ნავაროს.

- 2013 წლის 5 ივლისს, გაიმართა შეხვედრა ჩინეთის თანამედროვე საერთაშორისო ინსტიტუტისა და საქართველოში ჩინეთის საელჩოს წარმოამადგენლებთან, რა დროსაც განხილულ იქნა რეგიონალური პოლიტიკის საკითხები.

- 2013 წლის 10 ივლისს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ნატოს სამეკავშირეო ოფისის წარმომადგენელთან.

შეხვედრის მთავარი თემები იყო: საქართველო-ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ურთიერთობები; კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები, მათ შორის, არსებული კონფლიქტები. მხარეებმა იმსჯელეს იმ პროექტებზე და პროგრამებზე, რომელთა განხორციელებაც ამ მიმართულებებით არის შესაძლებელი.

- 2013 წლის 29 ივლისს, საქართველოს პარლამენტში, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდები ხელოვნებისთვის" ინიციატივით მოეწყო აფხაზეთის არქიტექტურული ძეგლების ფოტოგამოფენა, სახელწოდებით „ნუ წავშლით". ღონისძიების ფარგლებში განხილული იქნა აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართულ ენასთან, ისტორიულ ძეგლებთან და რელიგიასთან დაკავშირებული პრობლემები.

შეხვედრაზე წარმომადგენილი იქნა წინადადებები სამომავლო გეგმებსა და ერთობლივ პროექტებზე.

- 2013 წლის 30 ივლისს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა უმასპინძლა უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულე ბავშვებსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მე დავბრუნდები"-ს წევრებს სხვადასხვა ქვეყნიდან.

საანგარიშო პერიოდში, კომიტეტის თავმჯდომარემ გამართა არაერთი ბრიფინგი, სადაც წარადგინა კონკრეტული ანგარიში კომიტეტისა და მის მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე.

განცხადებები და წერილები

კომიტეტი, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს საქმისწარმოებას. იხილავს მოქალაქეთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს, უწევს მათ შესაბამის დახმარებას და ახდენს სათანადო რეაგირებას. სწავლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან შემოსულ დოკუმენტაციას. ამზადებს წერილებს სათანადო ინფორმაციის მისაღებად.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოვიდა 395 განცხადება. ყველა მათგანი იქნა განხილული და მოხდა შესაბამისი რეაგირება.

აპარატის თანამშრომლები საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან და დიასპორულ ორგანიზაციებთან, კავკასიელ ხალხებთან აწარმოებენ ელექტრონულ მიმოწერას. კომიტეტის ელექტრონულ ფოსტაზე შემოვიდა ათეულობით მოქალაქის წერილი, რომლებზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება.

საანგარიშო პერიოდში, გარდა ზემოაღნიშნულისა, მიმდინარეობდა მუშაობა კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ სხვა საკითხებზე.

კომიტეტი გეგმავს ქართულ სათვისტომოებთან, დიასპორებთან, სამეცნიერო წრეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან და მათ დიასპორებთან, კავკასიის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ინტენსიურ თანამშრომლობას.

კომიტეტი, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მიზნით, წარმართავს მუშაობას შესაბამისი ქვეყნების ქართული დიასპორების წარმომადგენლებთან, სათვისტომოებთან, ქართველოლოგიურ ორგანიზაციებთან და საქართველოს საკითხით დაინტერესებულ მოღვაწეებთან.